საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/41

ქ. ბათუმი 18 თებერვალი, 2022 წ.

,,ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის №01-08/05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე და მე-100 მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 18 თებერვლის MES 4 22 0000167001 და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2022 წლის 18 თებერვლის MES 3 22 0000167028 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის №01-08/05 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციაგაუვლელ სტუდენტთა მიმართ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნას 2022 წლის 15 მარტის ჩათვლით.''

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს შესაბამის სტუდენტებს სტუდენტური პორტალის მეშვეობით და ფაკულტეტების ადმინისტრაციებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტთათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტებს,

საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**